ბრძანება:**ბ47. 47230102**

თარიღი:**10/01/2023**

ბრძანება N4

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 5 იანვრის N5 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლისა და ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის N5 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ცვლილება შევიდეს ,,ლიკა ძნელაძის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, საორგანიზაციო, საკადრო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში, კომპიუტერული უზრუნველყოფის, საკადრო-საორგანიზაციო და ელექტრონული მომსახურების საკითხებში, წამყვან სპეციალისტად დანიშვნის შესახებ “ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 5 იანვრის N5 ბრძანებაში.

1.1. ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ლიკა ძნელაძის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, საორგანიზაციო და საკადრო მომსახურების განყოფილებაში საკადრო და საორგანიზაციო მომსახურების საკითხებში, III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

1.2. ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^2 მუხლი:

1^2. 2023 წლის 01 იანვრიდან ლიკა ძნელაძე ჩაითვალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, საორგანიზაციო და საკადრო მომსახურების განყოფილებაში, საკადრო და საორგანიზაციო მომსახურების საკითხებში, III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშნულ პროფესიულ საჯარო მოხელედ.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

3. ბრძანება ძალაშია 2023 წლის 01 იანვრიდან.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი